ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირს
„თბილისის არქიტექტურის სამსახურს“
ქალაქ თბილისში, ქუჩა იმერეთის № 75-ში მცხოვრები ნონა მამფორიასა
პ/ნ 01007001802 და დანარჩენ მესაკუთრეთა (მცხოვრებთა)
ტელ: 599 74 34 58

კოლექტიური განცხადება

ვთვლი რა ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის „თბილისის არქიტექტურის სამსახურის“ მიერ 2014 წლის 22 იანვარს გამოცემულ № 162047 გადაწყვეტილებას, 05.05.2014 წლის № 1254453 ბრძანებას და 16.05.2014 წლის №1260137 ბრძანებას, ადმინისტრაციულ აქტებს უსაფუძვლოდ, მოვითხოვთ:

1. **ბათილად იქნეს ცნობილი ადმინისტრაციული აქტი,** ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის „თბილისის არქიტექტურის სამსახურის“ **მიერ 2014 წლის 22 იანვარს გამოცემული № 162047 გადაწყვეტილება,** ქალაქ თბილისში, ქუჩა იმერეთი, № 71-ში, **მესაკუთრე ზინა ზეთურიძეს,** პ/ნ 01019025127, კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, ს/კ 01.12.11.054.023, მიწის ნაკვეთის **სამშენებლოდ გამოყენების პირობებისა და ქალაქთმშენებლობის პარამეტრების გაზრდის თაობაზე.**

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის „თბილისის არქიტექტურის სამსახურის“ 22.01.2014 წლის № 162047 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის გამო, **ბათილად იქნეს ცნობილი** დასახელებული გადაწყვეტილებით დადგენილი პირობებისა და პარამეტრების გამოყენების საფუძველზე გამოცემული **ადმინისტრაციული აქტი** ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის „თბილისის არქიტექტურის სამსახურის“ **05.05.2014 წლის № 1254453 ბრძანება,** გამოცემული დამკვეთი-განმცხადებლის ომარ ჯაფარიძის, პ/ნ 01024053648, 10.04.2014 წლის №AR1211322 განცხადების განხილვის საფუძველზე, ქალაქ თბილისში, ქუჩა იმერეთი, № 71-ში, **მესაკუთრე ზინა ზეთურიძეს,** პ/ნ 01019025127, კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, ს/კ 01.12.11.054.023, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, მე-4 კლასის **ახალი მშენებლობის პროექტის შეთანხმების თაობაზე.**

3. საჯარო სამართლის იურიდიული პირის „თბილისის არქიტექტურის სამსახურის“ 22.01.2014 წლის № 162047 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის გამო, **ბათილად იქნეს ცნობილი** დასახელებული გადაწყვეტილებით დადგენილი პირობებისა და პარამეტრების გამოყენების საფუძველზე გამოცემული **ადმინისტრაციული აქტი,** ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის „თბილისის არქიტექტურის სამსახურის“ **16.05.2014 წლის №1260137 ბრძანება** გამოცემული, დამკვეთი-განმცხადებლის ომარ ჯაფარიძის, პ/ნ 01024053648, 07.05.2014 წლის №AR11217622 განცხადების განხილვის საფუძველზე, ქალაქ თბილისში, ქუჩა იმერეთი, № 71-ში, **მესაკუთრე ზინა ზეთურიძეს,** პ/ნ 01019025127, კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, ს/კ 01.12.11.054.023, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, მე-4 კლასის ახალი მშენებლობის განხორციელების თაობაზე, **მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ..**

მოთხოვნის საფუძვლიანობა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა დასტურდება ქვემოთ ჩამოთვლილი მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების იმ უხეში დარღვევებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქალაქ თბილისში, ქუჩა იმერეთი, № 71-ში, **მესაკუთრე ზინა ზეთურიძეს,** პ/ნ 01019025127, კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, ს/კ 01.12.11.054.023, მიწის ნაკვეთის **სამშენებლოდ გამოყენების პირობებისა და ქალაქთმშენებლობის პარამეტრების გაზრდის,** მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, მე-4 კლასის **ახალი მშენებლობის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხის** შემუშავების, განხილვის, შეთანხმებისა, დამტკიცებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესების

მიმდინარეობისას მიწის ნაკვეთის მესაკუთრისა (დამკვეთის) და შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის გამომცემი ორგანოს ქმედებებში.

მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ ზინა ზეთურიძემ და მისმა არაუფლებამოსილმა წარმომადგენელმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 174-ე მუხლის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ არ შეასრულა საკუთარი ვალდებულება, პატივი სცეს მეზობელი მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრეს. მეზობლების ინფორმირებისა და მათი ნების გარკვევის გარეშე განიზრახა და დაიწყო ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც ნაკვეთით მოსარგებლე ზინა ზეთურიძისათვის ნორმალურ სამეურნეო საქმიანობად არ მიიჩნევა და მის მიერ განზრახული საქმიანობის განხორციელების შედეგად მეზობლების საკუთრებაზე ადგილი ექნება ისეთ ზემოქმედებას, რომელიც აღემატება მოცემულ ადგილას ჩვეულებრივად მიჩნეულ სარგებლობას და ეკონომიკურად დასაშვებ ფარგლებს. ზინა ზეთურიძის ქმედება გასცდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 175-ე მუხლით გათვალისწინებულ სამეზობლო ზემოქმედებათა თმენის ვალდებულებას, ვინაიდან აღნიშნული ქმედება ხორციელდება საცხოვრებელ ზონა 3-ში (სზ-3)-ში, სადაც დასაშვებ ეკონომიკურ საქმიანობად არ მიიჩნევა ზინა ზეთურიძის მიერ განზრახული საქმიანობა.

ზინა ზეთურიძის განზრახვის სისრულეში მოყვანის ანუ მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ამჟამად შეთანხმებული პროექტით გათვალისწინებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების შემთხვევაში, ადგილი ექნება მეზობლების მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების დაუშვებელ ხელყოფას, რაც ამთავითვე აშკარაა, ვინაიდან დანარჩენი მესაკუთრეები ვერ განახორციელებენ მათი საკუთრებით დღეის მდგომარეობით არსებულ შეუზღუდავ სარგებლობას, მნიშვნელოვნად გააუარესებს მათი ცხოვრების, დასვენებისა და უსაფრთხოების პირობებს, კანონსაწინააღმდეგოდ გაზრდის მათი ყოველდღიური სამეზობლო ზემოქმედებათათმენის (პრინციპს) ვალდებულებას.

დამკვეთის მიერ ობიექტზე არანაირი საჯარო ინფორმაცია 2014 წლის 18 ივნისამდე არ ყოფილა განთავსებული, ხოლო ამჟამად განთავსებული ბანერის მასშტაბები კი ხელოვნურად ისეა დამახინჯებული, რომ არ ასახავს რეალურ მდგომარეობას. განთვსებულ ბანერზე მასშტაბების დამახინჯების გარდა საერთოდ არ არის გადატანილი პროექტით ასაშენებელი შენობის ბოლო ორი სართული ანუ ბანერის მონაცემები ასახავს არქიტექტურის სამსახურში 02.05.2014 წელს ჩატარებული ზეპირი მოსმენის სხდომაზე სხდომის თავმჯდომარის მიერ დასახელებული ახალი მშენებლობის შენობის სიმაღლეს. კერძოდ, ბანერის მონაცების თანახმად მშენებარე ობიექტის სიმაღლე თითქოსდა შეადგენს არაუმეტეს 14 მეტრს.

ადმინისტრაციულმა ორგანომ, სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახურმა“ ზემოთ დასახელებილი ადმინისტრციული აქტების გამოცემით დაარღვია „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6, მე-7, მე-8,მე-11, 27-ე, 28-ე 29-ე, 30-ე და 31-ე მუხლების მოთხოვნები და აღნიშნულიდან გამომდინარე ასევე დაარღვია ამ კანონის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტების შესაბამისი მოთხოვნები, რასაც შედეგად მოყვება მეზობელად მცხოვრებ სხვა მესაკუთრეთა კანონიერი ინტერესების შელახვა, რაც გამოიხატება საცხოვრებელი პირობების გაუარესებაში, არსებული განაშენიანების გეგმარებითი, მოცულობითი, სივრცით-ესთეტიკური პარამეტრების დარღვევაში და დანარჩენი მესაკუთრეებისათვის დიდი ოდენობის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენებაში

აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად წინასწარ განზრახვით ურთიერთშეთანხმებით მოქმედებდნენ მიწის ნაკვეთის (ყოფილი) მესაკუთრე ზინა ზეთურიძე, პროექტის ავტორი, შპს „ბუკა-2012“-ის წარმომადგენლები, შპს „მირა-მელისა“ და სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახურის“ წარმომადგენლები. კერძოდ, მოპოვებული საბუთებიდან ირკვევა, რომ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.12.11.054.023) მესაკუთრე ზინა ზეთურიძესათან წინასწარი შეთანხმებით, 14.01.2014 წელს რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ხათუნა ჩოლოიანმა (პ/ნ 64№6532232) (100%-იანი წილის მფლობელი), ქ.თბილისში,

ბახტრიონის ქუჩა № 16, ბინა 8-ში, დააფუძნა შპს „მირა-მელი“, ს/კ 405025725. დასახელებული პირები დაუკავშირდნენ შპს „ბუკა-2012“-ის (100%-იანი წილის მფლობელი ვიქტორ მარგველაშვილი) წარმომადგენლებს ომარ ჯაფარიძეს და პროექტის ავტორს მერაბ ბოლქვაძეს, რომლებმაც სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახურის“ წარმომადგენლებთან შეთანხმებით განახორციელეს მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.12.11.054.023), ამ ნაკვეთისათვის შეუსაბამო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაპროექტება, პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. დასახელებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.12.11.054.023) მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების გვერდის ავლით და უხეში დარღვევების დაშვების გზით მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ, მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.12.11.054.023) მესაკუთრე ზინა ზეთურიძემ თითქოსდა გაასხვისა და მისი მესაკუთრე გახდა ამ მიზნებისათვის წინასწარ შექმნილი შპს „მირა-მელი“, რითაც დასახელებული იურიდიული პირი გახდა მიწის ნაკვეთისა და ჩვენი მტკიცებით, კანონდარღვევით გაცემული მშენებლობის ნებართვის თითქოსდა კეთილსინდისიერი მყიდველი, რომელსაც მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში დაშვებულ კანონდარღვევებთან თითქოსდა შეხება არ გააჩნია. შპს „მირა-მელის“ წინასწარი განზრახვით ამ მიზნებისათვის შექმნასა და მის წინასწარ კავშირს მშენებარე ობიექტთან ადასტურებს თვითონ შპს „მირა-მელის“ დამფუძნებლად ხათუნა ჩოლოიანის დარეგისტრირება (რომელიც ვერ დააფინანსებს მშენებლობას) და ამავე იურიდიულ პირში აღნიშნული მშენებლობის ინიციატორ-შუამავლების გივი ჩოხელისა და რევაზ დევსურაშვილის, შესაბამისად ფინანსურ და ტექნიკურ დირექტორებად, ჯერ კიდევ 12.02.2014 წელს, დარეგისტრირება. ამრიგად, ზინა ზეთურიძე, ხათუნა ჩოლოიანი, ომარ ჯაფარიძე, გივი ჩოხელი, რევაზ დევსურაშვილი, სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახურის“ ცალკეული წარმომადგენლები და სხვები ერთობლივად მოქმედებდნენ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.12.11.054.023) არსებული სახის მშენებლობის ნებართვის გაცემის უზრუნველსაყოფად. ჩვენ არ დავარღვევთ უდანაშაულობის პრეზუმფციას, მაგრამ გაგვაჩნია საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ ყოველივე ზემოთ აღნიშნული ქმედება ხორციელდება ფულის გათეთრების მიზნით, ვინაიდან მსოფლიოსა და საქართველოს პრაქტიკაში ასეთი სქემების გამოყენება ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს გასახორციელებელი ძირითადი მიზნის შენიღბვას, ხოლო მიზანი კი სავარაუდოდ ფულის გათეთრებაა.

დამკვეთისა და თბილისის არქიტექტურის სამსახურის ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებაზე მიუთითებს ის ფაქტები, რომ მეზობელი მესაკუთრეების კანონიერ მოთხოვნებზე გაიცემოდა და დღემდე გაიცემა არა ამომწურავი პასუხები. მეზობელი მესაკუთრეები კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ თავის დროზე არ იყვნენ ინფორმირებული საქმის რეალური მდგომარეობის თაობაზე და წინასწარი განზრახვით, შეგნებულად ხდებოდა საჯარო ინფორმაციის დამალვა მეზობელი-მესაკუთრეებისაგან ანუ დაინტერესებული პირებისაგან. კერძოდ:

1. მარინე ლოლაშვილმა 05.03.2014 წელს განცხადებით №AR1201630 მოითხოვა **„გთხოვთ გვაცნობოთ, რომელ ფუნქციურ ზონაშია ნაკვეთი 01.12.11.054.023 და ხომ არ განიცადა ფუნქციური ზონის ცვლილება აღნიშნულმა ნაკვეთმა 2013-2014წ.წ.“**, რაზეც 19.03.2014 წლის № 1176673 გადაწყვეტილებით ეცნობა, რომ **„... სამსახურის მიერ ქ. თბილისში, იმერეთის ქ. №71–ში (საკადასტრო კოდი 01.112.11.054.023) მდებარე მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილება არ მომხდარა“**. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განცხადების ავტორს არ შეატყობინა, რომ ფუნქციური ზონის შეცვლის ნაცვლად გაფორმდა სპეციალური ზონალური შეთანხმება და არსებული ზონისათვის დადგენილი კოეფიციენტები კ 1=0.5 და კ2=1,5-ს გაზრდის შედეგად განისაზღვრა კოეფიციენტები კ1=0.6, ხოლო კ2=3.0-ს ოდენობით და არ მიუთითა შესაბამისი დოკუმენტების შედგენის თარიღები და ნომრები, თუ კი ისინი რეალურად არსებობდა აღნიშნული თარიღისათვის.

2. მარინე ლოლაშვილმა 07.03.2014 წელს განცხადებით №AR1202409 განმეორებით მიმართა და მოითხოვა: **„მოგახსენებთ, რომ თქვენი სამსახურის მიერ განისაზღვრა ქალაქმშენებლობის პირობები იმერეთის ქ.N 71-ში მდებარე 01.12.11.054.023 ნაკვეთისთვის, სადაც დაგეგმილი აქვთ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. განგიმარტავთ, რომ იმერეთის ქუჩა წარმოდაგენს დაბალი ინტენსივობის უბანს, სადაც აშენებულია მხოლოდ დაბალსართულიანი ინდ. საცხოვრებელი სახლები და აღნიშნულ ნაკვეთზე 5 სართულიანი კორპუსის მშენებლობა გამოიწვევს მთელ რიგ უარყოფით შედეგებს. რომ არაფერი ვთქვათ ქალაქის იერსახეზე, ჩვენ ანუ მომიჯნავე ნაკვეთებს აღნიშნული მშენებლობა მოგვაყენებს პირაპირი სახის ზიანს, ხელყოფს ინსოლაციის და ხმაურის ნორმებს. ვინაიდან აღნიშნულ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლზე მშენებლობის ნებართვის გაცემა პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს ჩვენს კანონით გარანტირებულ ინტერესებს, გთხოვთ, იმ შემთხვევაში თუ თქვენი სამსახური დაიწყებს ან თუ უკვე დაწყებული აქვს ზემოაღნიშნულ ნაკვეთზე არქიტექტურული პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურები ჩაგვრთოთ როგორც დაინტერესებული მხარე ადმინისტრაციულ წარმოებაში“.**

პასუხის სახით განმცხადებელს 21.03.2014 წლის № 1181893 გადაწყვეტილებით ეცნობა, რომ **„თქვენი №AR1202409 წერილი სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და აღნიშნულ ტერიტორიაზე წარმოების დაწყების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული“.** განმცხადებელმა ამ შემთხვევაშიც ვერ მიიღო თბილისის არქიტექტურის სამსახურისაგან მათ ხელთ არსებული საჯარო ინფორმაცია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების რეალური პარამეტრების თაობაზე.

3. 02.05.2014 წელს ჩატარდა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ზეპირი მოსმენის სხდომა (ოქმი№144), რომელსაც ესწრებოდნენ: **თავმჯდომარე კახაბერ ნიაური, მდივანი ნატო ბულია და წევრი ქეთევან სვიანაშვილი; დამკვეთები:** ზინა ზეთურიძე და ომარ ჯაფარიძე; **მოწვეული იმერეთის ქუჩის მცხოვრები მესაკუთრები:** თინათინ ხიდაშელი, მარინე ლოლაშვილი, რუსუდან ქაცანაშვილი, ჯემალ ჯაბანაშვილი, ქეთევან ქოქაშვილი. სხდომას ესწრებოდა მხოლოდ თინათინ ხიდაშელი.

სხდომაზე დამსწრეთ ეცნობათ, რომ 10.04.2014 წელს შემოსულია დამკვეთის №AR1211322 მოთხოვნა: **„გთხოვთ შეითანხმოთ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი“.**

ამასთანავე, დამსწრეთ განემარტა, რომ პროექტის შემუშავებისათვის **არქიტექტურის სამსახურის მიერ 17.12.2013 წლის №1043510 გადაწყვეტილების თანახმად გაცემულია თანხმობა დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროექტის შემუშავების თაობაზე,** ამავე საცხოვრებელ ზონაში მოქმედი ქალაქმშენებლობითი პარამეტრების შესაბამისად, რომლის საფუძველზეც დასახელებულ ნაკვეთზე აშენდება მიწის ზედაპირიდან არაუმეტეს 14 მეტრის სიმაღლის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომლის სართულიანობა მთლიანად მიწისქვეშა სართულის ჩათვლით იქნება ხუთი და სრულ შესაბამისობაში იქნება არსებულ დასახლებაში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან. ზეპირ მოსმენაზე დამსწრე მესაკუთრემ დააყენა ვალსახა მოთხოვნა, მშენებლობის პროექტი შეეთანხმებიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ახალი საცხოვრებელი მრავალბინიანი სახლის სიმაღლე შესაბამისობაში იქნება კანონმდებლობით მოქმედ ნორმებთან, მისადაგებული იქნება არსებულ საცხოვრებელი სახლების სიმაღლესთან, და მისი სართულიანობა არ იქნებოდა მიწისქვეშა სართულის ჩათვლით ოთხ სართულზე მეტი, ვინაიდან სხვა შემთხვევაში მკვეთრად გაუარესდებოდა ჩვენი საცხოვრებელი პირობები და მოგვადგებოდა მნიშვნელოვანი მატერიალური და მორალური ზიანი. სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დასახელებულ ნაკვეთზე მშენებლობა განხორციელდებოდა ამ საცხოვრებელი ზონისათვის დადგენილი პარამეტრების შესაბამისად. 02.05.2014 წლის ოქმი №144-ით დასტურდება, რომ საკითხის ზეპირი მოსმენის დროს არ ყოფილა გაჟღერებულიც კი დასახელებულ ნაკვეთზე IV კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების შესაძლებლობა ან/და

აღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების თაობაზე გაფორმებული სპეციალური ზონალური შეთანხმები არსებობა, რომლის საფუძველზეც დამკვეთის მიერ არქიტექტურის სამსახურში შესათანხმებლად წარმოდგენილია IV კლასის მშენებლობის, საცხოვრებელი სახლის პროექტი, რომლის სართულიანობა დამკვეთის მიერ ადრე მოთხოვნილი ხუთი (რომელსაც ყველა მეზობელი ეწინააღმდეგებოდა) სართულის ნაცვლად მიწისქვეშა სართულის ჩათვლით შეადგენს რვა სართულს და მისი საერთო კონსტრუქციული სიმაღლე შეადგენს 27,22 მეტრს ანუ ადრე მოთხოვნილ პარამეტრებთან შედარებით გაორმაგებულია.

დასახელებულ ოქმში საერთოდ მითითებული არ არის, რომ ზეპირი მოსმენა ჩატარდა მარინე ლოლაშვილის 07.03.2014 წლის №AR1202409 განცხადებით მოთხოვნილი საკითხის განსახილველად, რის გამოც სხდომის ოქმში საერთოდ არ დააფიქსირეს მარინე ლოლაშვილის და სხვა მეზობლების კანონიერი მოთხოვნები საცხოვრებელი ზონა 3-ისათვის შეუსაბამო მშენებლობის დაუშვებლობის თაობაზე. აღნიშნული მოთხოვნის გადაფარვის მიზნით ოქმში მიუთითეს მხოლოდ თინათინ ხიდაშელის დამატებითი მოთხოვნა, მშენებლობის პროცეში მათი საკუთრების დაზიანებისაგან დაცვის ღონისძიებების საპროექტო დოკუმენტაციაში გათვალისწინების თაობაზე.

ზეპირი მოსმენის ჩატარებიდან სამ დღეში კი თბილისის არქიტექტურის სამსახურის 05.05.2014 წლის № 1254453 ბრძანების თანახმად შეთანხმებულია დასხელებულ ნაკვეთზე ასაშენებელი საცხოვრებელი სახლის პროექტი, რომლის მოცულობითმა პარამეტრებმა ყოველგარ მოლოდინს გადააჭარბა. აღნიშნული ბრძანებაშიც მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების რეკვიზიტებად მითითებულია ზეპირი მოსმენის დროს ჩვენთვის წარმოდგენილი **17.01.2014 წლის № 1064282 გადაწყვეტილება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების შესახებ,** მაგრამ მშენებლობის ნებართვის ბრძანების ტექსტში დასახელებული გადაწყვეტილება მოხსენებულია **ბრძანების სტატუსით. არნიშნული თარიღითა და ნომრით გაცემული ბრძანება კი ჩვენს მიერ მოპოვებული ვერ იქნა. ამრიგად, პროექტის განხილვის თაობაზე ზეპირი მოსმენის სხდომაზე დამსწრე მეზობელი მესაკუთრეებს, არქიტექტორის სამსახურისა და დამკვეთის წარმომადგენლებმა, ერთმანეთთან წინასწარი შეთანხმებით, წინასწარი განზრახვით წარმოადგინეს ცრუ ინფორმაცია** მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.12.11.054.023) გასახორციელებელი ახალი მშენებლობის **პარამეტრების შესახებ, რაც წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო ინფორმაციის, დამკვეთთან წინასწარი შეთანხმებით დამალვას, რითაც უხეშად დაარღვიეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები, პოროტად გამოიყენეს თანამდებობრივი უფლებამოსილება და აღნიშნული ქმედებით შელახეს დაინტერესებული კერძო პირების, ჩვენი კანონიერ ინტერესები, რასაც შედეგად მოყვა ცვენი ინტერესებისათვის დიდი ოდენობით მატერიალური და მორალური ზიანის მიენება.**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 176-ე მუხლის თანახმად „მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მეზობელ ნაკვეთებზე ისეთი ნაგებობების აშენების ან ექსპლუატაციის აკრძალვა, რომლებიც დაუშვებლად ხელყოფენ ნაკვეთით სარგებლობის უფლებას და ეს იმთავითვე აშკარაა“. დასახელებული მუხლის მოთხოვნის არსებობა დასტურდება ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტებით.

ქალაქ თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონის, ქუჩა იმერეთი № 71- ში მდებარე, მესაკუთრე ზინა ზეთაურიძის კუთვნილი 529 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 01.12.11.054.023) სამშენებლოდ გამოყენების პირობებისა და განაშენიანების კოეფიციენტების განსაზღვრის მიზნით, ომარ ჯაფარიძეს, პ/ნ 01024053648, დამკვეთი-განმცხადებლის სტატუსით 10.12.2013 წელს, ნომერი AR1183596 განცხადებით მიუმართავს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი „თბილისის არქიტექტურის სამსახურისთვის“. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 17.12.2013 წლის № 1043510 გადაწყვეტილების თანახმად განმცხადებლისათვის უცნობებია, რომ დასახელებულ მიწის ნაკვეთზე დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური განვითარების გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის მიხედვით

ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) სტატუსი, რომელშიც მოქმედებს შემდეგი ქალაქმშენებლობითი პარამეტრები. **კერძოდ: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1)=0,5; მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2)=1,5; მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი (კ-3)=0,2;**

არაუფლებამოსილ პირს, ომარ ჯაფარიძეს, პ/ნ 01024053548, დამკვეთი-განმცხადებლის სტატუსით 23.12.2013 წელს, ნომერი AR1186408 განცხადებით განმეორებით მიუმართავს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი „თბილისის არქიტექტურის სამსახური"-სათვის. დასახელებული საკითხი განიხილა „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის" 26.12.2013 წლის № 51 სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდა თვითონ განმცხადებელი. სხდომაზე განსახილველად დამკვეთს წარდგენილი ჰქონდა მოთხოვნის დასაბუთების ფაილი. **აღნიშნულ ფაილში დამკვეთს ხელოვნურად დამახინჯებული აქვს სამშენებლოდ გამოსაყენებელ ნაკვეთზე და მის მიმდებარედ განთავსებული მეზობელ მესაკუთრეთა შენობების სიმაღლეები.** კერძოდ, ფაილის თანახმად შენობის სიმაღლის ნახაზში ნაჩვენებია, რომ სამშენებლო ნაკვეთის მოპირდაპირედ მდებარე იმერეთის ქუჩა 68-ში (ს/კ 01.12.11.053.012) მდებარე საცხოვრებელი სახლის სიმაღლე მიწის ზედაპირიდან შეადგენს სამ სართულს, ფაქტობრივად კი მისი სიმაღლე მიწის ზედაპირიდან ორი სარულია და შენობის ნულოვანი ნიშნული დონე ქუჩის ნულოვან ნიშნულის დონეზე ერთი მეტრით დაბალია, რაც დადასტურებულია დამკვეთის მიერ წარმოდგენილი მაკეტითა და ფოტოსურათითაც კი. ანალოგიურად დამახინჯებულია სამშენებლო ნაკვეთის მიმდებარედ დიდი ჯიხაიშის ქუჩა 80 და 82 ნომრებში განთავსებული საცხოვრებელი სახლების სიმაღლეები და მათი ნულოვანი ნიშნულები. კერძოდ ნაჩვენებია, რომ დასახელებულ ნაკვეთზე თითქოსდა განთავსებულია სამ სართულიანი საცხოვრებელი სახლები, ფაქტობრივად კი განთავსებულია ერთ სართულიანი სახლები. სამშენებლო ნაკვეთზე ეზოს ფასადის მხარეს მდებარე შენობის სიმაღლე გაზრდილია 1,5 ჯერ და ეს უკანასკნელი გათანაბრებულია იმერეთის ქუჩა 73-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის სიმაღლესთან. დასაბუთების ფაილში აღნიშნული არ არის სამშენებლო ნაკვეთის გრუნტის ზედაპირის ცვლილება, რომლის სიმაღლე შეადგენს 2-5 მეტრს, რაც დასტურდება მათმიერვე კომისიისათვის წარდგენილი არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათებით. ამავე ფაილით წარდგენილი იმერეთის ქუჩის მაკეტიდან ირკვევა, რომ ასაშენებელი საცხოვრებელი სახლის სიმაღლე არსებულ მეზობელ მესაკუთრეთა საცხოვრებელი სახლების სიმაღლეს მასშტაბებით თითქოსდა აღემატება სავარაუდოდ ორჯერ, ხოლო ასაშენებელი სახლის მაქსიმალური სიმაღლე განსაზღვრულია 18,9 მეტრის ოდენობით, რაც არსებული მომიჯნავე შენობების სიმაღლეებს აღემატება 11 მეტრის ოდენობით. **ყველაზე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ არაუფლებამოსილი პირი, დამკვეთი ომარ ჯაფარიძე** კოეფიციენტების გაზრდის წერილობით მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზანშეწონილობას ადასტურებს იმით, რომ იმერეთის ქუჩა თითქოსდა: **„დღესდღეობით ქუჩა მოშენებულია 1-3 სართულიანი საცხოვრებელი შენობებით, რომელთა დიდი ნაწილი ამორტიზირებულია. კერძოდ 71 სახლი წარმოადგენს 1 სართულიან ნახევრადმიწურა საცხოვრებელ და დამხმარე ნაგებობებს და 2 სართულიან ფაქტიურად ბარაკული ტიპის შენობას. წარმოდგენილი საპროექტო ვარიანტი ითვალისწინებს საპროექტო 5 სართულიანი შენობის 5 მ-ით დაწევას საკადასტრო საზღვრიდან რაც სარდაფის სართულში განთავსებული ავტოფარეხების გარდა იძლევა ღია ატოსადგომების მოწყობის შესაძლებლობას...".** ფაქტობრივად კოეფიციენტის გაზრდის **დასაბუთების მიზნით წარდგენილი ფაილის მონაცემები კი ამტკიცებს საწინააღმდეგოს.** თუ საკითხი კომისიამ განიხილა, განხილვისას კომისიას აუცილებლად წარმოეშვებოდა კითხვა აღნიშნულთან დაკავშირებით, მაგრამ ამ საკითხის განხილვისას კომისიას **(ოქმის თანახმად)** საერთოდ არანაირი კითხვები არ წარმოშობია დაუდგენელი მიზეზებისა და მოტივების გამო. არქიტექტურის სამსახურის თანამშრომლები, საკითხის განმხილველი კომისიის წევრები ყველა ერთდროულად როგორ შეიძლება შესულიყო შეცდომაში და ვერცერთს ვერ შეემჩნია წარმოდგენილი

დოკუმენტებში აშკარად არსებული უხეში შეუსაბამობები და დამახინჯებები?! დასაბუთების ფაილის მონაცემების დამკვეთის მიერ წინასწარი განზრახვით გაყალბება ემსახურებოდა კომისიის წევრებისათვის ახალი მშენებლობის კონსტრუქციული სიმაღლის, არსებულ განაშენიანებასთან თითქმის შესაბამისობის დადასტურება.

არაუფლებამოსილ პირს, ომარ ჯაფარიძეს, პ/ნ 01024053648, დამკვეთი-განმცხადებლის სტატუსით 28.12.2013 წელს, ნომერი AR1187749 განცხადებით, წინა განცხადების განხილვიდან მესამე დღეს, განმეორებით მიუმართავს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი „თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის" მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის მიზნით. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 17.01.2014 წლის № 1064282 გადაწყვეტილების თანახმად განმცხადებლს მისცა თანხმობა **დასახელებულ მიწის ნაკვეთზე დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავებაზე, დაუდგინა მიწის ნაკვეთს სამშენებლო** ქალაქგეგმარებითი პარამეტრები. **კერძოდ: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1)=0,5; მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2)=1,5; მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი (კ-3)=0,2;**

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 37-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, **„მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად, გარდა 38-ე და 39-ე მუხლებით დადგენილი შემთხვევებისა, რომელთაგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდგომი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება...".** აღნიშნულიდან გამომდინარე, ომარ ჯაფარიძემ 26.12.2013 წელს კომისიის სხდომის ჩატარებიდან მესამე დღეს მოითხოვა საცხოვრებელი ზონა 3-ისათვის (სზ-3) დადგენილი პარამეტრების შესაბამისი საპროექტო დოკუმენტების შემუშავების ნებართვა. ე.ი. 26.12.2013 წლის სხდომის შემდეგ ომარ ჯაფარიძემ დამთავრებულად ჩათვალა მშენებლობის ნებართვის პირველი სტადია და ამის შემდეგ შეიტანა ახალი განცხადება მშენებლობის პროექტის საცხოვრებელი ზონა 3-ისათვის მოქმედი კოეფიციენტებით შემუშავების თაობაზე. 28.12.2013 წლისათვის თუ არ იქნებოდა დასრულებული ადმინისტრაციული წარმოების პირველი სტადია, მაშინ თბილისის არქიტექტურის სამსახური ვალდებული იყო აღნიშნულის თაობაზე ეცნობებია დამკვეთისათვის ან **თბილისის არქიტექტურის სამსახურს 17.01.2014 წლის № 1064282 გადაწყვეტილებაში უნდა ასახულიყო აღნიშნული თარიღისათვის უკვე არსებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის" 26.12.2013 წლის № 51 სხდომის დასკვნის არსებობის თაობაზე კოეფიციენტების კ1=0,6-ის და კ2=3,0-ის ოდენობით განსაზღვრის შესახებ და მისი შედეგების 2013 წლის 31 მარტის № 2999 განკარგულებით დამტკიცების თაობაზე.**

თბილისის არქიტექტურის სამსახურს 17.01.2014 წლის № 1064282 გადაწყვეტილებაში 26.12.2013 წლის № 51 სხდომის ოქმისა და 2013 წლის 31 მარტის № 2999 განკარგულების მონაცემების აუსახველობა იძლევა საფუძვლიან ეჭვს იმისა, რომ ასეთი გადაწყვეტილება კომისიის სხდომაზე მიღებული არ ყოფილა და დასახელებული დოკუმენტები შედგენილია მიღებული გადაწყვეტილების სხდომის დამთავრების შემდეგ თვითნებურად შეცვლის შედეგად, რის გამოც თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 22.01.2014 წლის № 162047 გამოიცა ახალი გადაწყვეტილება და განმცხადებელს ეცნობა, რომ „თქვენი საკითხი განიხილა „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის" 26.12.2013 წლის № 51 სხდომამ, რომლის დასკვნის საფუძველზეც საკითხმა მიიღო დადებითი შეფასება და **კოეფიციენტები განისაზღვრა კ1=0,6-ით და კ2=3,0-ით ოდენობით.**

„ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის“ მიერ 26.12.2013 წლის № 51 სხდომაზე კოეფიციენტების გაზრდის გადაწყვეტილება მიღებული ვერ იქნებოდა, ვინაიდან კომისის წევრებისათვის ცნობილი იყო საქართველოს მთავრობის მიერ აღებული კურსი საცხოვრებელ ზონა 3-ში (სზ-3) ადრე მოქმედი განაშენიანებისა და მშენებლობის ინტენსივობის კოეფიციენტების შენარჩუნების შესახებ, **რაც დადასტურებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის 59-ე დადგენილების დანართის, ტექნიკური რეგლამენტის - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ თანახმად. დასახელებული ტექნიკური რეგლამენტით ყველა საცხოვრებელ ზონაში გათვალისწინებულია განაშენიანებისა და განაშენიანების ინტენსივობის მოქმედი კოეფიციენტების შენარჩუნება 2014 წლის 1 იანვრიდან.**

საქართველოს **პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის 2014 წლის 15 იანვრის 59-ე დადგენილებით** დამტკიცებული დანართის, ტექნიკური რეგლამენტის მე-12 მუხლის მე- 9 ნაწილის თანახმად საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3):

ა) დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების არსებობა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის სამეზობლო თემების პრინციპების დაცვით;

ბ) კოეფიციენტები:

ბ.ა) **მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) – 0,5;**

ბ.ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2)– 1,3;

ბ.გ) მიწის ნაკვეთების გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) – 0,2“ .

59-ე დადგენილებით დამტკიცებული დანართის, ტექნიკური რეგლამენტის მე-14 მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ პუნქტის თანახმად არსებული კონკრეტული ფუნქციური ზონების ცვლილება ხდება: **„საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)–ის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) – ად.“ ანუ ზონის ცვლილება ხდება უფრო დაბალი ინტენსივობის ზონად.** სპეციალური ზონალური შეთანხმების გაფორმება კოეფიციენტების ასეთი ოდენობით გაზრდით იგივე შედეგის მომტანია ამ მიწის ნაკვეთის მეზობელი მესაკუთრეებისათვის, რაც ზონის შეცვლა, რისი უფლებაც კომისიას არ ქონდა, ვინაიდან კომისიას უნდა ეხელმძღვანელა მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებით, რაც სპეციალური შეთანხმების იურიდიულ საფუძველს არ იძლეოდა, მაშინ კომისიას რატომ უნდა დაერღვია კანონმდებლობის მოთხოვნა?! **არსებული ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ხომ არ შეესაბამება სინამდვილეს მშენებლობის ნებართვის მაძიებელ მთელ რიგ დამკვეთ პირთა შორის მოარული ხმები იმის შესახებ, რომ „არქიტექტურის სამსახური არეგულირებს და უზრუნველყოფს კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევით ნებისმიერი სახის სპეციალური ზონალური შეთანხმების გაფორმებას, მხოლოდ იმ დამკვეთებთან, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დასაფინანსებლად განახორციელებენ შემოწირულობებს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო ხარჯების დასაფინანსებლად“**

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N 4-13 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ დანართი 1-ის **„ქალაქთმშენებლობითი ზონების ტერიტორიების გამოყენების დაშვებული სახეობების ჩამონათვალი“-ს მე-3 პუნქტის თანახმად „საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3): დაბალი** ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები. ამავე პუნქტის „ა“ **ქვეპუნქტის თანახმად: „საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)-ის: „ ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ძირითადი დასაშვები სახეობებია“:**

- ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი (დომინირებული სახეობა);
- განაშენიანების დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

(არადომინირებული სახეობა) და ა.შ.; ამავე პუნქტის **„ბ“ ქვეპუნქტის თანახმად საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)-ის : „ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების დასაშვები სახეობები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას“, არსებული ჩამონათვალი საერთოდ არ ითვალისწინებს საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)-ის** განაშენიანებას **მაღალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებით ან მაღალი ინტენსივობის სხვა შენობებით.**

ზემოთ აღნიშნული ფაქტები ადასტურებენ, რომ „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიამ“, **გადაამეტა თავის უფლებამოსილებას**, რის შედეგადაც „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N 59-ე დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის-დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N 4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებისა“ (მისი დანართი 1-ის) და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის N 6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ **მოთხოვნების საწინააღმდეგოდ 26.12.2013 წლის სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება** „დამკვეთის მიერ დასახელებული მიწის ნაკვეთისათვის განაშენიანების კოეფიციენტები განესაზღვრა კ1=0,6-ით და კ2=3,0-ით“. აღნიშნული ქმედებით **„ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიამ“**, (რომლის წევრთა შემადგენლობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ქალაქ თბილისის მერიისა და მის მიერ შექმნილი პირების თანამშრომლები) თავიანთი უფლებამოსილება დააყენეს საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობისა და ქალაქ თბილისის საკრებულოს უფლებამოსილებაზე მაღლა და სხდომის გადაწყვეტილებით უგულვებელყვეს მათ მიერ მიღებული და გამოცემული საკანონმდებლო მარეგულირებელი აქტები.

კომისიის მიერ ზემოთ დასახელებული გადაწყვეტილება მიღებული იქნა დამკვეთი ომარ ჯაფარიძის მიერ წარმოდგენილი გაყალბებული დოკუმენტების საფუძველზე და აღნიშნულის შესახებ თუ კომისიის წევრები და არქიტექტურის სამსახურის შესაბამისი თანამშრომლები ინფორმაციას არ ფლობდნენ, რამაც შესაძლოა გამოიწვია კომისიის წევრების შეცდომაში შეყვანა, მაშინ არქიტექტურის სამსახურსა და ქალაქ თბილისის მერიის შესაბამის თანამშრომლებს გეძლევათ შესაძლებლობა გამოასწოროთ დაშვებული უნებლიე შეცდომა და კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოიყვანოთ ადრე მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გვექნება უფლება დაბეჯითებთ განვაცხადოთ, რომ კომისიამ უსაფუძვლო გადაწყვეტილება მიიღო დამკვეთთან წინასწარი შეთანხმებით, წინასწარი განზრახვით და ამჟამად ცდილობთ თქვენი უკანონო ქმედების კანონიერად წარმოჩენას. მითუმეტეს დამკვეთის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის რეალურობაზე პასუხს არქიტექტურის სამსახური არ აგებს და თქვენ ხელი არ გეშლებათ დამკვეთის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების სინამდვილესთან შეუსაბამობის ფაქტის და დაშვებული სხვა მნიშვნელოვანი დარღვევების გამო, ადრე მიღებული გადაწყვეტილება შეცვალოთ და დამკვეთს დაუდგინოთ კანონმდებლობით დადგენილი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები.

ქალაქ თბილისის მერის 2008 წლის 15 ოქტომბრის № 54 ბრძანებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის“ დებულების მე-2 პუნქტის თანახმად „კომისია წარმოადგენს ქალაქ თბილისის მერის სათათბირო-საკოორდინაციო ორგანოს, რომელიც თავის მუშაობას წარმართავს საქართველოსა და ქალაქ თბილისში მოქმედი ნორმატიული აქტების, მათ შორის: **საქართველოს კანონის “სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ”; “დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს**

ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 ივლისის N1-1/1254 ბრძანებისა და ამ დებულების საფუძველზე“. ამავე დებულების მე-3 პუნქტის „ზ“, „კ“ და „მ“ ქვეპუნქტების თანახმად კომისიის კომპენტენციას სხვა დანარჩენ სანითხებთან ერთად განეკუთვნება შესაბამისად:

-სპეციალური ზონალური შეთანხმებისათვის ქალაქ თბილისის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება;

-საჯარო მოსმენების ორგანიზება სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საკითხებთან დაკავშირებით;

-ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხებზე საზოგადოების ინფორმირება და ამ საკითხების განხილვათა ორგანიზება;

მიუხედავად აღნიშნულისა, **„ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიამ“ ისე განიხილა** არაუფლებამოსილი პირის, ომარ ჯაფარიძის, პ/ნ 01024053648, დამკვეთი-განმცხადებლის სტატუსით 23.12.2013 წელს წარდგენილი, ნომერი AR1186408 განცხადება 26.12.2013 წელს, რომ არ განუხორციელებია დაინტერესებული პირების ინფორმირება საკითხის განხილვის თაობაზე და საჯარო მოსმენის ორგანიზება სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საკითხთან დაკავშირებით. უფრო მეტიც არც თბილისის არქიტექტურის სამსახური და არც კომისია საერთოდ არ დაინტერესებულა განმცხადებლის უფლებამოსილების დადგენისა და დაინტერესებულ პირთა ინფორმირებულობაში დარწმუნების მიზნით, ობიექტზე (სამშენებლოდ გამოსაყენებელ მიწის ნაკვეთზე) თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსების დამადასტურებელი ფოტოსურათის წარმოდგენის საკითხის გადამოწმებითაც კი.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების მე-40 მუხლის **პირველი პუნქტის თანახმად** „განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში დაგეგმილი მშენებლობისას, ნებართვის მაძიებელი **მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე განცხადების შეტანის მომენტისათვის უზრუნველყოფს** შესაბამის ობიექტზე (შენობა-ნაგებობაზე), თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსებას, რომელზეც უნდა იყოს აღნიშნული მოსალოდნელი მშენებლობის მონაცემები, კერძოდ:

ა) შენობა-ნაგებობის მისამართი;

ბ) შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება;

გ) მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო და განაცხადის განხილვის ვადები;

დ) შენობა-ნაგებობის სავარაუდო სართულიანობა ან/და გაბარიტები“

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების 45-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად **„დამკვეთი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში წარადგენს განცხადებას, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს“**. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ და „ ზ“ პუნქტების თანახმად, ჩამოთვლილ სხვა საბუთებთან ერთად, განცხადებას უნდა დაერთოს: **„წარმომადგენლის მიერ განცხადების შეტანის შემთხვევაში – სათანადო რწმუნებულება“ და „თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსების დამადასტურებელი ფოტოსურათი“**

ომარ ჯაფარიძემ სათანადო რწმუნებულება (მინდობილობა) კი მესაკუთრე ზინა ზეთურიძესაგან მიიღო 2014 წლის 23 აპრილის სანოტარო აქტით, რეგისტრაციის N140386351. ამრიგად, ომარ ჯაფარიძის მიერ დასახელებული თარიღის დადგომამდე ზინა ზეთურიძეს ქონების მიმართ განხორციელებული ქმედებები და მიღებული გადაწყვეტილებები ბათილია.

ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 6 დეკემბრის N 2758 განკარგულების თანახმად, **„ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის“ თავმჯდომარედ დაინიშნა ქალაქ თბილისის მერის მოადგილე დავით ნინიძე.**

„ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის“ 26.12.2013 წლის № 51 სხდომას ოქმის თანახმად თავმჯდომარეობდა გიორგი გოგილაშვილი, მაშინ როდესაც კომისიის თავმჯდომარე დავით ნინიძე იმყოფებოდა სამუშაოზე. კომისიის დებულების თანახმად, კომისიის თავმჯდომარის არყოფნის პერიოდში მის უფლებამოსილებებს ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. თავმჯდომარის არყოფნა ნიშნავს არა სხდომის საქმიანობაში მონაწილეობაზე უარის თქმა, არამედ მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობას ანუ შრომითი ურთიერთობის დროებით შეჩერებისა და სამუშაო ადგილის დროებით შეცვლის (მივლინებას) გამო. სხვა შემთხვევაში თავმჯდომარის ჩანაცვლება მოადგილით ნიშნავს იმას, რომ სხდომას თავმჯდომარეობდა არაუფლებამოსილი პირი, გიორგი გოგილაშვილი, ვინაიდან მას სხდომის თავმჯდომარეობის უფლებამოსილების (თუ არსებობს მისი კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესაბამისი დოკუმენტი, რაც მერიამ დღემდე ვერ წარმოადგინა) განხორციელება შეეძლო მხოლოდ თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში.

